

# Programme

## Maurice Ravel

Sonata for Violin and Piano No. 1 in A Minor, Posthumous, M. 12

Composed in 1897, the First Violin Sonata by Maurice Ravel remained unpublished until 1975 when it was released as part of the centennial celebrations under the slightly misleading title "Posthumous Sonata." This single-movement piece was likely composed within Gabriel Fauré's composition classes and performed at the Paris Conservatory during the academic year 1897-1898, with George Enescu on violin and Ravel himself at the piano. Interestingly, Ravel did not consider it necessary to include his early opus in the official catalogue of his works, as the Sonata composed by the 22 years old composer rather reflects the significant influence of prominent figures in French chamber music such as César Franck and Gabriel Fauré than Ravel's own modernist style. Still, despite the First Violin Sonata may not display the mature style of Ravel's later works, it provides valuable insights into the formative years of this musical genius. The piece captures a young composer's struggle to find his own artistic voice amidst the influences of the French chamber music tradition.

## Olivier Messiaen

Thème et variations for Violin and Piano

Olivier Messiaen's Thème et variations for Violin and Piano was composed in 1932 by the 24 years old composer. The composition of the piece coincided with Messiaen's romance with the violinist and composer Claire Delbos whom he married on 22 June 1932, having dedicated the Thème et variations to his young wife. The couple premiered the piece on 22 November of the same year. This personal connection likely added an emotional depth to the music, making the piece even more meaningful for the composer. The piece begins with a brief and simple theme, succeeded by five variations that progressively grow more intricate and depart further from the original theme. The piano, acting as an equal partner, introduces each variation, playing a crucial role in the composition. Thème et variations is an essential milestone in Messiaen's oeuvre as it showcases the distinctive elements that would become hallmarks of his later compositions. His rhythmic complexity and vivid harmonic language can be traced back to this early work. Today, Messiaen's Thème et variations remains a celebrated and frequently performed piece in the violin and piano chamber music repertoire.

## César Franck

Andantino quietoso for Violin and Piano, Op. 6

César Franck's Andantino quietoso for Violin and Piano is a beautiful and laconic chamber music work that was composed in 1843 when Franck was just 21 years old. It was composed for performances with Franck's violinist brother Joseph. The Andantino quietoso is a serene and introspective piece, reflecting Franck's penchant for emotional depth and lyrical melodies. The title itself hints at the gentle and tranquil nature of the music. In this work, Franck displays his early mastery of writing for the violin and piano, with both instruments engaging in heartfelt dialogue. Despite the beauty and emotional richness of the Andantino quietoso, the work remained relatively unknown for many years after its composition. It was only later in the 20th century that Franck's early chamber music works gained more attention and appreciation.

## Camille Saint-Saëns

Berceuse for Violin and Piano, Op. 38

Camille Saint-Saëns composed the Berceuse, Op. 38 in 1871. It holds a dedication to Paul Viardot, the talented violinist and son of the renowned singer Pauline Viardot, with whom the composer shared a close friendship. A Berceuse is a lullaby, and this piece is no exception. Though it was composed during a time of political upheaval in France,

Saint-Saëns managed to create a serene and tender piece, reflecting his ability to find beauty amidst the chaos. The Berceuse is characterized by its lyrical and flowing melodies, making it a delightful piece to listen to. It showcases Saint-Saëns' sensitivity to both instruments, allowing the violin and piano to interact in a tender and captivating dialogue. Berceuse remains a beloved and frequently performed work in the chamber music repertoire. It stands as a testament to Saint-Saëns' skill as a composer and his ability to create music that resonates with audiences across generations.

Ernest Chausson

Pièce for Viola and Piano, Op. 39

Ernest Chausson was a French composer and a prominent figure in the late Romantic era of classical music. He initially pursued a law degree but eventually decided to follow his true passion for music. He began studying composition under the guidance of Jules Massenet and eventually became a student of César Franck. As a result of his untimely death at the age of forty-four in a cycling accident, Chausson's musical legacy comprises a total of 39 opus-numbered pieces. Op. 39 is a Pièce for Cello (or Viola) and Piano composed in 1897. Chausson's musical style was deeply influenced by the works of Wagner, Franck, and the impressionist composers of his time which is reflected in the Pièce. It demonstrates Chausson's mature style, characterized by lush harmonies and a certain emotional depth. It is a relatively short yet captivating work, displaying Chausson's craftsmanship as a composer and his deep appreciation for string instruments.

Henri Vieuxtemps

Élégie for Viola and Piano, Op. 30

The Élégie, op. 30 by the Belgian composer and violinist Henry Vieuxtemps was composed during his time as a violinist serving Tsar Nicholas I in St. Petersburg between 1846 and 1851. According to Vieuxtemps' autobiographical report, he accepted the position at the urging of Mateusz Wielhorski, a Russian count of Polish origin, who was not only a patron but also a talented cellist - Wielhorski performed publicly with Vieuxtemps, as well as with other renowned musicians such as Franz Liszt, Clara Schumann, and Anton Rubinstein. It was Wielhorski to whom Vieuxtemps dedicated the Élégie for Viola and Piano, Op. 30, which received its premiere on March 1, 1848, in St. Petersburg by the composer himself. This piece marks Vieuxtemps' first composition for viola, an instrument on which he was likely self-taught (later he wrote other works for this instrument). In 1853, Vieuxtemps reworked the piece to create a version "for viola or violoncello." This alternative cello version which was published in 1854 may have been influenced by his friendship with the Mateusz Wielhorski. The Élégie is a heartfelt and introspective piece, reflecting Vieuxtemps' ability to infuse his music with expressive sensitivity. It explores the rich tonal qualities of the viola and creates a poignant dialogue between the viola and the piano.

George Enescu

Concertstück for Viola and Piano

George Enescu was a Romanian composer, conductor, educator, and one of the leading violinists of his generation. His Concertstück for Viola and Piano was composed in 1906 as a showpiece for a competition he was invited to judge by his composition teacher at the Paris Conservatoire, Gabriel Fauré. The piece was dedicated to Théophile Laforge, the viola professor at the Conservatoire and the principal violist of the Paris Opera. Hence, the composition is highly demanding from a technical standpoint and demonstrates the full expressive range of the viola. The piece eloquently captures not only virtuosic techniques but also Enescu's melodic language, which draws inspiration from his Romanian folk heritage. Enescu explores different moods and themes, creating a captivating musical journey for both the performer and the listener. That's why, in contrast to the majority of compositions created for competitions, the Concertstück has secured its place in the viola repertoire.

Meanwhile in Georgia...

The viola has long been in the shadows of its more popular counterparts, the violin and cello. However, over time, it has earned acknowledgement as a solo instrument, showcasing its unique personality and expressive abilities. This trend also holds true in Georgian music. It wasn't until 1952 that the very first Viola Sonata by a Georgian composer emerged, and it was created by the talented woman composer Ketevan Tushmalishvili (1919-2001). Her work marked a significant milestone for the viola's solo repertoire in Georgian music.

### პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

მორის რაველი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1 ლა მინორი, Posthumous, M. 12

1897 წელს დაწერილი მორის რაველის პირველი სავიოლინო სონატა 1975 წლამდე არ გამოქვეყნებულა. სწორედ მაშინ გამოიცა იგი რაველის ასი წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში. ერთნაწილიანი სონატა სავარაუდოდ დაიწერა გაბრიელ ფორეს კომპოზიციის კლასისთვის წარსადგენად და შესრულდა პარიზის კონსერვატორიაში 1897-1898 სასწავლო წელს. მევიოლინე ჯორჯე ენესკუს თანხლებას ფორტეპიანოზე თავად რაველი უწევდა. საინტერესოა, რომ ფრანგმა კომპოზიტორმა საჭიროდ არ ჩათვალა, ეს ადრეული თხზულება თავისი ნაწარმოებების ოფიციალურ კატალოგში შეეტანა. როგორც იკვეთება, 22 წლის რაველის მიერ დაწერილ სონატაში აისახა არა იმდენად რაველის საკუთარი მოდერნისტული სტილი, არამედ ფრანგული კამერული მუსიკის გამოჩენილი ფიგურების - სეზარ ფრანკისა და გაბრიელ ფორეს დიდი ზეგავლენა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სავიოლინო სონატა არ წარმოაჩენს მისი გვიანდელი ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელ რაველისეულ უნიკალურ სტილს, ის წარმოდგენას გვიქმის გენიოსის მუსიკალური ენის ჩამოყალიბების პროცესზე. სონატაში იკვეთება ახალგაზრდა კომპოზიტორის საკუთარი შემოქმედებითი სახის ძიების პროცესი, რომელიც ფრანგული კამერული მუსიკის ტრადიციების გავლენის ფონზე მიმდინარეობდა.

### ოლივიე მესიანი

თემა და ვარიაციები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის

ოლივიე მესიენის თემა და ვარიაციები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის შექმნა 1932 წელს 24 წლის კომპოზიტორის მიერ. ნაწარმოების შექმნის პროცესი დაემთხვა მესიანის რომანს მევიოლინე და კომპოზიტორ კლერ დელბოსთან, რომელზეც ის დაქორწინდა 1932 წლის 22 ივნისს. მესიანმა თხზულება თავის ახალგაზრდა მეუღლეს მიუძღვნა და მასთან ერთად პირველად შეასრულა იგი საჯაროდ იმავე წლის 22 ნოემბერს. ამ კონტექსტმა მუსიკას განსაკუთრებული ემოციური სიღრმე შესძინა, რამაც თემა და ვარიაციები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა კომპოზიტორისთვის. ნაწარმოები იწყება მოკლე და სადა თემით, რასაც მოსდევს ხუთი ვარიაცია, რომლებიც თანდათან უფრო რთულდება და შორდება ორიგინალურ თემას. ფორტეპიანოს, ვიოლინოს ქეშმარიტად თანაბარუფლებიან პარტნიორს, შემოჰყავს თითოეული ვარიაცია და გადამწყვეტ როლს ასრულებს კომპოზიციაში. თემა და ვარიაციები არის მნიშვნელოვანი ნაწარმოები მესიენის შემოქმედებაში, რადგან მასში უკვე ვლინდება ის ელემენტები, რომლებიც მესიანის მომდევნო ოპუსების განყოფილ მახასიათებლებად იქცევა. ყველაფერი, რაც შემდგომში განსაზღვრავს მესიანის მუსიკალური ენის უნიკალურობას - იქნება ეს რიტმული სირთულეები თუ ცოცხალი ჰარმონიული ენა - სწორედ ამ ადრეულ ნაწარმოებში ყალიბდება. დღესდღეობით მესიანის თემა და ვარიაციები ცნობილი და ხშირად შესრულებადი ნაწარმოებია, რომელსაც საკუთარი გამორჩეული ადგილი უკავია კამერული მუსიკის რეპერტუარში.

### სეზარ ფრანკი

Andantino quietoso ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 6

სეზარ ფრანკის Andantino quietoso ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის ლამაზი და ლაკონური კამერული ნაწარმოებია, რომელიც დაიწერა 1843 წელს 21 წლის კომპოზიტორის მიერ. ფრანკმა შექმნა იგი თავის ძმასთან, მევიოლინე იოზეფ ფრანკათან ერთად დასაკრავად. Andantino quietoso მშვიდი და ინტიმური ნაწარმოებია, რომელშიც წარმოჩნდება ახალგაზრდა ფრანკის მისწრაფება ემოციური სიღრმისა და ლირიკული მელოდიებისკენ. თავად სათაური მიუთითებს მუსიკის ნატიფ და მშვიდ ბუნებაზე. ახალგაზრდა კომპოზიტორი უკვე ამ ნაწარმოებში ავლენს ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის წერის ოსტატობას და ორივე ინსტრუმენტის გულწრფელ დიალოგს გვთავაზობს. მიუხედავად Andantino quietoso-ს სილამაზისა და ემოციური სიმდიდრისა, იგი მრავალი წლის განმავლობაში შედარებით უცნობი რჩებოდა. მხოლოდ მე-20 საუკუნეში მიიპყრო ფრანკის ადრეულმა კამერულმა

მუსიკამ შემსრულებელთა ყურადღება.

კამილ სენ-სანსი

იავნანა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 38

კამილ სენ-სანსმა იავნანა თხზ. 38 1871 წელს შექმნა, მიუძღვნა რა იგი ნიჭიერ მევიოლინეს პოლ ვიარდოს - ცნობილი მომღერლის პოლინა ვიარდოს ვაჟს. მომღერალთან კომპოზიტორს ახლო მეგობრობა აკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ იავნანა დაწერილია საფრანგეთში მიმდინარე პოლიტიკური აჯანყების დროს, სენ-სანსმა მოახერხა, შეექმნა მშვიდი და საოცრად სათუთი ნაწარმოები, რომელიც ასახავს მის ნიჭს, ქაოსშიც იპოვოს სილამაზე. იავნანა ხასიათდება ღირიკული და მდორე მელოდიებით, რაც მას სასიამოვნო მოსამენს ხდის. სენ-სანსის იდეალურად გრძნობს ორივე ინსტრუმენტს და გვთავაზობს ვიოლინოსა და ფორტეპიანოს დახვეწილ დიალოგს. იავნანა დღესაც კამერული მუსიკის რეპერტუარის ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოებია, რომელიც ეხმიანება არაერთი და განსხვავებული თაობის მსმენელთა ინტერესს.

ერნესტ შოსონი

პიესა ალტისა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 39

ერნესტ შოსონი ფრანგი კომპოზიტორი და გვიანი რომანტიზმის ეპოქის გამოჩენილი ფიგურაა. მან თავდაპირველად იურიდიული განათლება მიიღო, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტა, მის ნამდვილ გატაცებას - მუსიკას გაჰყოლოდა. კომპოზიციის შესწავლა შოსონმა ჟიულ მასენეს ხელმძღვანელობით დაიწყო და საბოლოოდ სეზარ ფრანკის სტუდენტი გახდა. 44 წლის ასაკში შოსონი ველოსიპედით სეირნობისას მომხდარ საგზაო შემთხვევას ემსხვერპლა. უდროო სიკვდილის შედეგად მისი მუსიკალური მემკვიდრეობა სულ 39 თხზულების ნომრიან ნაწარმოებებს მოიცავს. თხზ. 39 არის 1897 წელს შექმნილი პიესა ჩელოსთვის (ან ალტისთვის) და ფორტეპიანოსათვის. შოსონის მუსიკალურ სტილზე დიდი გავლენა მოახდინა ვაგნერის, ფრანკისა და მისი დროის იმპრესიონისტი კომპოზიტორების ნაწარმოებებმა, რაც ასახულია კიდევ პიესაში. ის დაწერილია შოსონის გვიანდელ სტილში, რომელიც ხასიათდება მდიდრული ჰარმონიული ენით და ემოციური სიღრმით. ეს არის შედარებით მოკლე, მაგრამ საოცრად მომხიბვლელი ნაწარმოები, რომელიც შოსონს წარმოაჩენს როგორც ქეშმარიტ ოსტატსა და სიმებიანი საკრავების დიდ მოყვარულს.

ანრი ვიეტანი

ელეგია ალტისა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 30

ელეგია თხზ. 30 ბელგიელმა კომპოზიტორმა და მევიოლინემ ანრი ვიეტანმა იმ დროს დაწერა, როდესაც 1846-1851 წლებში ნიკოლოზ I-ს კარზე მსახურობდა. ვიეტანის ავტობიოგრაფიის თანახმად, მან თანამდებობა მიიღო მატეუშ ვილჰორსკის რეკომენდაციით. ეს გახლდათ პოლონური წარმოშობის გრაფი, რომელიც არა მხოლოდ ხელოვანთა მფარველი, არამედ ნიჭიერი ჩელისტიც იყო. ვილჰორსკი საჯარო კონცერტებით გამოდიოდა არა მარტო ვიეტანთან, არამედ სხვა ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ფერენც ლისტი, კლარა შუმანი და ანტონ რუბინშტეინი. სწორედ მას მიუძღვნა ვიეტანმა ელეგია ალტისა და ფორტეპიანოსათვის, რომლის პრემიერა 1848 წლის 1 მარტს პეტერბურგში შედგა თავად კომპოზიტორის შესრულებით. ელეგია ვიეტანის პირველ ნაწარმოებია ალტისთვის, ინსტრუმენტისთვის, რომელზეც ის სავარაუდოდ თვითნასწავლი იყო (მოგვიანებით მან ამ საკრავისთვის სხვა თხზულებებიც დაწერა). 1853 წელს, ვიეტანმა გადაამუშავა ელეგია, რათა შეექმნა ვერსია „ალტის ან ჩელოსთვის“. ჩელოს ალტერნატიულ ვერსიაზე, რომელიც 1854 წელს გამოიცა, შესაძლოა გავლენა იქონია მისმა მეგობრობამ მატეუშ ვილჰორსკისთან. ელეგია გულწრფელი და ინტიმური ნაწარმოებია, რომელიც ვიეტანს ექსპრესიულ კომპოზიტორად წარმოგვიდგენს. ის იკვლევს ალტის მდიდარ გამომსახველ საშუალებებს და ქმნის ინტენსიურ დიალოგს ალტსა და ფორტეპიანოს შორის.

ჯორჯ ენესკუ

კონცერტმტუკი ალტისა და ფორტეპიანოსთვის

ჯორჯ ენესკუ იყო რუმინელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და თავისი თაობის ერთ-ერთი წამყვანი მევიოლინე. კონცერტმტუკი ალტისა და ფორტეპიანოსათვის დაიწერა 1906 წელს ალტისტთა კონკურსისთვის, რომელიც პარიზის კონსერვატორიაში ჩატარდა. ენესკუს ის მისმა კომპოზიციის მასწავლებელმა გაბრიელ ფორემ დაუკვეთა. ნაწარმოები მიეძღვნა თეოფილ ლაფორჟს, ალტის პრემიერის დამსწრეებში, რომლებმაც მისი ნაწარმოები მოაყარა

სოციალური კონსერვატორიის და საოპერის ოპერის მთავარი ალტისტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, კონცერტტუკი ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან რთულია და წარმოაჩენს ალტის გამომსახველ საშუალებათა სრულ დიაპაზონს. ნაწარმოებში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ვირტუოზულ ტექნიკაზე, არამედ ენესკუს მელოდიურ ენაზეც, რომლის შთაგონების წყარო რუმინული ხალხური მემკვიდრეობაა. ენესკუ იკვლევს სხვადასხვა განწყობებსა და თემებს და გვეპატიჟება საინტერესო მუსიკალურ მოგზაურობაში. სწორედ ამიტომ, კონკურსებისთვის შექმნილი ნაწარმოებების უმრავლესობისგან განსხვავებით, კონცერტტუკმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიმკვიდრა ალტის რეპერტუარში.

ამ დროს საქართველოში...

ალტი დიდი ხანი იმყოფებოდა მისი უფრო პოპულარული კოლეგების - ვიოლინოსა და ჩელოს ჩრდილში. თუმცა, დროთა განმავლობაში, მან მოიპოვა აღიარება როგორც სოლო ინსტრუმენტმა, გამოავლინა რა თავისი უნიკალური ექსპრესიული შესაძლებლობები. ეს ტენდენცია ქართულ მუსიკაშიც შეიმჩნევა. მხოლოდ 1952 წელს დაწერა ქართველმა კომპოზიტორმა ალტის სონატის პირველი ნიმუში. ეს კომპოზიტორი ქეთევან თუშმალიშვილი (1919-2001) გახლდათ. თავისი სონატით მან უდიდესი როლი შეიტანა ქართულ მუსიკაში სოლო ალტის რეპერტუარის განვითარებაში.



31-10 September  
August 2023

5TH ANNIVERSARY

PROGRAMME NOTES  
BY NINO JVANIA